


პეტრა, 23 ივლის 1917 წ.

სოდაცის აღმნის:  
თფლისი, ლუდას ქუჩა, № 6.


ვასი 20 პაპ.



შინაგანი: ორიოდე სიტყვა — რედაქტორი. მოწინავე.  
დედა და შვილი — მორიენი. ყვავის ტუზი — ეშმაკი. მასწავლებლის წერილი სატრდოსთან — ლოთი-ცოთი. გაყვეთილები — ეშმაკი. შარტა — კოლო. ციცვი — კი. სიქარისუში აფიც-

რობა. პირდაპირი თარგმანი — კაკი. სამაგალითო აღზრდა.  
საზოგადო დედა-ენა და რეზი მასწავლებელი სოფ-  
ლის სკოლაში. „შევარდნები“ და ყვავი. ფიზიკური ვარჯი-  
შობა და სხვა.

## დედა-ენა და რეზი მასწავლებელი სოფლის სკოლაში.



უჩი-ტელი. ბიჩი! კაკ ზვატ ტვოიუ მამუ?  
ვანო?..

ნიქო. (ეანოს ჩურჩულით) ბიქო, გეეითხება რა ჰქვია მამა შენსაო  
ვანო. (გაბელულათ) მოიუ მამუ ზვატ დაგით!  
უჩი-ტელი. ისელ!

# ორიოლი სიტყვა

„ხელ შარტო კაცი ჰამაშიაც ბრალთო“,  
უთქვას ქართველ ხალხს.

ამხანაგი ეშვაკის საქმეც სწორეთ ასეა. ვერ-  
სად ისე ფეხს ვერ გადალგამს, რომ მიზეზიან ბავშ-  
ვებივით თან არ აგდევნოს

ଶିଖ, ଶାର୍କତିକା,

Digitized by srujanika@gmail.com

အမှာ. ၁၂၆၂၈၀၄၀၈၀၈၀၈

286 — 10

Digitized by srujanika@gmail.com

Digitized by srujanika@gmail.com

ა ი ახლაც ეშმაკი საჩქარო საქმეებზე აფხა-  
ზეთში გაიწვიეს და ზემოხსენებული პირიც ატყდენ:  
ჩვენც უნდა წაგიყვანოო, მეტი გზა არ არის, უნ-  
და წაიყვანოს და ი სწორეთ ამან გამოიწვია ის  
სამწუხარო მოვლენა, რომ განსაზღვრულ დროსათ-  
ვის დაინშნული სასკოლო ნომერი ეშმაკის მათ-  
რახისა ახლა გამოდის. მკითხველი თითონაც მიხვდება,  
რომ ეს ნომერი რეაქციის დროს შედგენი-  
ლია, რომ ახლა ვითარებას არ შეეფერება და ამი-  
ტომაც ვუტარდით შესაფერ მომენტს. მაგრამ ვი-  
ნაიდან გარემოებამ გვაიძულა, ვკალნიერდებით მიის-  
ცეთ მას მსელელობა. ამ შეკუთხრიბოლ პირობებში,

ନୃତ୍ୟକବିଜ୍ଞାନ.



Ե Յ Ա Ր Ը Ց

ჩვენს სახელმწიფოში სამი ტიპის სკოლა არსებობს:

ଦ୍ୟାବନ୍ଧି,  
ଶାଶ୍ଵତାଲଙ୍କ,  
ମେଳାଲଙ୍କି।

ჩვენ ვეცდებით, შეძლებისა და გვარათ განვმარტოთ თითოეული ტიპი სკოლისა და მით საკითხს გრაკვეული სახე მივსცეთ. რა თქმა უნდა ჩვენი განმარტება არ იქნება უნაკლულო, მაგრამ განათვით სკოლა კი არის უნაკლულო?

დაბალი სკოლებს აშენებენ  
საზოგადოთ სოფლებში დაბალ ხალხისათვის, ხში-  
რად ქალაქებშიც. სიტყვა „დაბალი“ არ მიეწერება  
სასკოლო შენობას, ვინაიდან შეიძლება სახლი სამ-  
სართულიანიც იყოს, როგორც, მაგალითად, სოფ-  
კულაშვილი, მაგრამ მაინც დაბალი სკოლა იყოს. სა-  
ქმედი იმაშია, რომ სიტყვა „დაბალი“ გამოხატავს  
სწავლის ღირსებას. დაბალ სკოლას ხელმძღვანელობს  
„უჩიტელი“, რომელსაც უმეტს ნაწილთ ემა-  
ნიან „ბატონიან“-ს. „უჩიტელობა“ უნდა იცოდეს  
რესული, საღმრთო სჯული და ლვინის სმა. შეუ-  
ძლია კარტის თამაშიც შეისწავლოს. აღნიშნულ  
მეცნიერებაშიაც შეუძლია დაბალი ღირსების მო-  
მზადება პროცესი.

„უჩიტოლის“ პირდაპირი უფროსი ბ-ნი მწერა-  
ლია, შემდეგ მამასახლისი, პრისტავი, მაზრის უფ-  
როსი, ინსპექტორი, დირექტორი, გუბერნატორი,  
ოკრუგის ინსპექტორი და ოლქის მზრუნველი,  
შემდეგ მინისტრები და მმრთველი.


საშუალო სკოლა. საშუალო სკოლის ეწვა.

დება გიმნაზია და აშენებენ ქალაქებში. გიმნაზიას განაგებს დირექტორი, მასწვლებლები და აღმზედელები. აქ ამწიფებენ ახალგაზღობას და თუ გომნაზიის გათავებამდე თავი არ ჩამოახრჩო აძლევენ სიმწიფის მოწმობას. ასეთი შემთხვევა იშვიათია. საშუალო სკოლის პროგრამის შესახებ იხილეთ ცალკე წერილი ამავე ნომერში. გარეშე იმ პროგრამისა აქვე სწავლობდნ პაპიროზის წევას და უბილეთოდ თეატრში სიარულს.

**უმაღლესი სასწავლებელი.** უმაღლეს სასწავლებლის უნივერსიტეტი ეწოდება. იმას აშენებენ სატახტო ქალაქებში, უფრო ხშირად გარე უბნებში. უნივერსიტეტს განაგებენ: გრადონაჩალნიკი, რექტორი და პროფესორები. შიგ მოსიარულე ხალხს სტუდენტებს ეძახიან. სტუდენტები უფრო ხშირად ლურჯ სარტყელიან ქუდს და ლურჯ ბლუზას ატარებენ.

უნივერსიტეტში სწავლობენ, ვიცრე არ მოსწყონდებათ. ვინც მეტ უნარსა და სიცხიზლეს იჩენს ისეთი სტუდენტები უნივერსიტეტიდან სახელმწიფო ხარჯით გადაჰყავთ სატუსაღოებსა და ციმბიჩის შორეულ გუბერნიებში. უფრო მდარე ხალხი ბრუნდება სამშობლოში ექიმის და ვერიონის სახით. პირველის მოვალეობაა გასწმინდოს ქვეყანა ავათმყოფებისაგან, ხოლო მეორე ცდილობს არ დაიჩაგროს დამაზავე უდანაშაულოსაგან.

არის სხვა დარგის სასწავლებლებიც, მაგრამ იმათ შესახებ შემდეგ.



## დელა და გვილი

(ყვავი და ბახალა)

- გამარჯობა, ქალო შენი!
- გაგიმარჯოს, გენაცვალე!
- (ეგრე ტქბილათ შეხვდნენ გუშინ აგრაფინა და ბაბალე!)

— რაგქნა, რატომ ვეღარ გხედავ, ვერც ქუჩახე, ვერც ბულვარში?

ქალო, ქარი რომ იშოვნე,

აღარ გამოდიხარ კირში?

— რა ვქნა, დია, შეც კი შინდა გარეთ ყოფნა და ნავარდი,

მაგრამ ჩემი ტიკუნიეს

აღარ მიშვებს არისათ დარდი.

— ომერთო სული ამომხადე!

განა შვილისაც მოესწარი?

— ქალო, როგორ მეკითხები?

ახლა მეშვიდებში არი

ექვსი წელი, გუშინასწინ

შეუსრულდა, ქალო, ამას.

— მითხარი, შენ გენაცვალე,

დედას უფრო გავს, თუ მამას?

— სახით მე მგავს, მაგრამ ჰქეუთ, მამაა პირწავარლნილი.

(ანკი, სახით რისთვის უნდა დაემსგავსოს მამას შეილი?)

რომ განახა, გენაცვალე,

მისი ხერხი, მისი ნიკი

იტყვი: რამე გამოვაო

უჩვეულო, ჩემი ბიჭი.

ჯერ ხუთი წლის არც კი იყო,

მამას წვერი რომ შერუჯა

და მოსამსახურე გოგოს

ტაფით სახე ჩაულურჯა.

რასმე იმუქეს მოიგონებს,

რომ არც იცი რა დარქავა...

იო, შარშან, ნიკოს საათს

მიეპარა, დაარტყა ქვა

და გახადა ნაცარ-ტუტათ.

თითონ შეხტა, გარცინა...

— ბოშო, შენ რომ მაგას ამშიბ თვალწინ მიღებას ჩემი ნინა.

კაცის ენა ვერ გამოსატქვამს

რას არ იზამს იმის ხელი,

კულით რას არ გამოპლანავს

ის კუდრაშა, საძიგელი.

გუშინ, ქალო, სათამაშოთ

თავს ქვაბი დაეხურა,

მაგრამ შენს მტერს, მოსახდელათ

იგი „შლაპა“ დარჩა თუ რა!

აღარ იქნა წამოძრობა  
ტირის ბავშვი, ტირის მამა...  
რა უნდოდა თავით ქვაბში?!..  
მაგრამ ვითომენით მამა...  
— ნუ თუ ქალო, ასეთია  
ის შავთვალა შენი ნინა?  
(ჩვენებურის სამტკბილით  
ეკითხება აგრაფინა)  
ახლა, ქალო, ამ წინაზე  
ძმა მეწვეა. ცოლიც ახლდა.  
და ჯერ თითქმის ვერ მოესწროთ  
რიგიანათ პალტოს გახდა,  
რომ ტიკუნამ კიდეც მოსკრა  
ძალუას ქუდს დიდი „პერი“  
და სანამ ჩეენ შეენიშნავდით,  
კარგათ ნავთშიც ამოერო  
გაეტანა და დაეწვა  
ეს ძეირფასი სამკაული...  
(ხუმრობა ერთი „პერი“  
რაც თუმანი ჯდება ფული!)

როცა ვკითხე, ბიქმა მითხრა:  
„რათ უნდაო თავზე ძუა“?  
მოდი შენ და ვაუჯავრდი,  
გამტყუნე ბავშის ჰქუა!..  
— ღმერთო ჩემი! რა ყოფილა  
ქალი აგი პაჭაწინა!  
მაგრამ ბიქი რომ არ იყოს  
მეწვება ჩემი ნინა.  
გუშინ რა პქნა იმ ეშმაქმა  
არ იკითხავ ახლა ამას?..  
ქალო, თურმე „სპალნიში“  
შეებარა ჩუმათ მამას  
და მძინარეს, პირ დაღებულს,  
ჩაყარა შიგ ნაცარი...  
ლუდუს სული შეეხუთა,  
დიდ-ხანს ეგდო ცოცხალ შკვდარი...  
— ას არის, გენაცალე  
ბავშვის ჰქუა, მოხრება...  
მე არ მიყვარს ჩემი ტიკუს  
გადჭარბებული ქება,  
მაგრამ ის რომ მოიგონებს  
სხვას ეგ ფიქრშიც არ გაუჩენს:  
დაიკირავს ზოგჯერ კატა,  
ზოგჯერ ძალს და კუდზე უკენს.

ერთხელ კატამ, უსინდისონ  
სახე სულ მთლათ დაუკაწრა...  
(სხანს მარცხისა ასაცდენათ  
გვმართებს კატის კუდის წაჭრა)  
ავი რაა... მოიბარავს  
ზოგჯერ ჩემის, ზოგჯერ პალტოს  
და ორიოდ წუთის შემდეგ  
ნაკუჭებს იხილავ მარტოს.  
ოი, დედა ენაცვალოს  
იმის ჰყაუს, მის გონების,  
ქალო, თუ კი მოინდომა  
რის ვერ შესძლებს მოგონებას.  
— ჩემმა გოგომ, გუშინას წინ  
მოიყვან ბოში კატა...  
(აქ, ჩეენ ძეირფას მოსაუბრეთ  
ერთი კიდევ მიემატა.  
და რაღვანაც ახლ მოსულს  
რვა ვაჟი ყავს, სამი ქალი,  
ჩეენ მათ ამბავს ნუ გავკვებით,  
თორემ ვაი ჩენი ბრალი).  
მორიცლი.

## ეპავის ტუზი

— თქვენ, დავიდ გიორგიევიჩ, ყვავს ტუზით  
უნდა გეჭრათ წელან ცხრიანი.—დინჯათ წარმო-  
სთქვა ივან ივანიჩ ივანოვმა კლასიკური გიმნაზიის  
დირექტორმა და ახლ იხალი 25 მანეთიანი ასი-  
გნაცია თავისკენ გადაითხია.

— ყველაფერს ბედი და წინდახედულობა სკი-  
რია. ხელოვნურ მწერას კილოთი მიუგო სახაზი-  
ნო პალატის მოხელე დაშით გიორგის-ძე ქრთამიე-  
მა.—ყვავს. დამა და კაროლი მეგონა.

— ასე წყნარად, უაყალ-მაყალოთ თამაშობდენ ბან-  
ქის ორი წარინგებული მოხელე, უკვე მეოთხე სა-  
ათია და თითქმ განგებო ბედი მხოლოდ ივანის უღიმოდა. ერთხელ რა არის, ერთხელაც არ იბ-  
რუნა პირი ბედოვლათ ქართველ მოხელისაკენ.

ორმოცდა ათი თუმანი კარგა ხანია, რაც და-  
ვით გიორგიევიჩის ჯიბიდან ივან ივანიჩის საფულე-  
ში გადაბარგდა. ბანქის მოხელეთა შორის ივან-  
ივანიჩი ვერ მოიწონებდა თავს დაკვირვებულის თა-

მაშინ, მაგრამ უშეტეს ნაწილათ და დღეს კი თით-ქმის უცვლელად ბედი მისკენ ხრიდა სასჭორს.

— გონებ ხვალ ექამენი გაქვთ, — კრძალვით შენიშვნა დავით გიორგიჩმა, — ხომ არ გაბრკოლებთ.

— როგორც გნებავთ, ხვალ ეგზამენი გვაქვს დანიშნული. ძნელია, როცა ხუთ თავისუფალ ადგილზე სამოცამდე მთხოვნელი მოდის. რა უნდა ჰქნა, იქულებული ხარ ჩჩ კაცს უარი უთხრა და თვალ-ცრემლიანი უკან გააბრუნო.

— მაშ აღარ დაგიშლით. შეც ხვალ ადრე მისევლა მქირია სამსახურში, ვგონებ რევიზიას გვიპირებენ. მშეცილებით მისცენებას გისურვებთ.

— გმადლობათ ნახისიათის. ხშირ ხშირად შემოივლიდეთ, ხოლმე. ჩვენ შეუდამ მოხარული ვიქნებით თქვენი სტუმრობისა; ალერსიანათ მიაცილა კარებამდე ქ-ნამა მარია ივანოვნამ.

— იქნებ თქვენც მოგიცდეთ ფეხი ჩვენს ოჯახში დერეფნიდან შემოსძახა დავით გიორგიჩმა და ქუჩაში გაწიდა.

— რა ჰქნი ადამიანო, გაარიგე რამე? — მოუთმენლად შეეყითხა დარეჯანა ბააკონა, ოფლით შეხვირთქლულ ქმარს.

— გაეარიგე გაეარიგე! გადამიტანა ამ ლაში-რაკის ხარჯმა. ერთი თავისუფლად ვერ ამომისუნთქია.

— შეგპირდა?

— როგორ თუ შემპირდა! დედა-კაცო, არც გამეგება რასა ლაპარაკობ. განა შეიძლება ასეთი რამ იმდენ ხალხში გაუმნილო?

— ქა, მაშ როგორ გაარიგე, თუ არაფერი გითქვაში?

— წავუგე სამოცადა ხუთი თუმანი. განა თითონ არ იცის, ამდენ ფულს ტყვილად არავინ ჩაუყრიდა ხელში? პირველი მაგალითი ხომ არ არის?

— რავქნა, ადამიანო, მარტო შენგან ხომ არ მოუგია!

— შენ ისეთ საქმეზე ილაპარაკე, რომელისაც გავეგებოდეს რამე. როგორ უნდა მისცე, როგორ უნდო მიიღო ეს მე უკეთ ვიცი. ამ საქმეში დავ-ბერდი და იხლა გინდა ჭკუა მასწავლო?

— უჩიტელნიცამ მიშას შესახებ ყოველივე იმედი დამიკარგა. ნიჭი კი აქვს, მაგრამ ზარმაცია და სწავლა არ ეხერხება.

— სწავლა რომ ეხერხებოდეს მესამეჯერ დარჩებოდა ერთ და იმავე კლასში და გამოაგდებდენ? — ეს მესამე გიმნაზია იქნება და ცნობოთ.

— არა, ნეტ! ყველაზე უარესათ მიშა ქრთამიევ-მა მიუგო.

— რის მიუგო ერთი იდგა მუნჯივით ხმა არ ამოულია.

— მაშ რისთვის მიიღეს, კაცო.

— ღირექტორი თითონ ჰეთხევდა. ვანომ დაინახა როგორ დაუწერა პიატი.

— ბედი უნდა ყველაფერს, ბედი.

— ეგზამენი ლატარიას, შეტი არაფერი.

— ვინ იცის, იქნებ მართალიც იყოს პატარა გიმნაზისტების შეხედულობა.

ეჭმაკი.

## მასშავლებლის ტერიტორია სატრიცოსთან

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან სიყვარული, ჩემმა გულმა როგორდაც კედლის საათივით „ტიკ-ტაკი“ დაიწყო. შენმა თანდათან ბობითმა ხშირათ ნახვამ აქა-იქ გაფანტული სიყვარულის ატომებს მოუყარა გულში თავი და რაღაცა მომავლის ბედნიერებაზე აცნების გეგმაც კი აღმიტეჭდა. შენში ვპოვე მე ყველა. შენს მერე აღარაფრად მიღირს აღარც უფროსის ტებილი შექება, არც წარმატება, აღარც ჩინი და მერდალი — შენ, შენა ხარ ყველა... ჩემო ყველავ! ჩემო სულის ფრთის კალამო, ჩემო ზეფხულის კანიცალები ექმ ბზობის დღევა, ჩემო შეიბის და ყველიერის დასვენებავ. შენით ვცოცლობ, შენით ვსუნთქავ, ჩემო ვულის პრამაკაშვავ რაც გინდ ქასავით მაგარი იყოს კაცი შენს მიკარებას ვერ გაუძლებს, ვერ გადურჩება დაუცნობელი მთლიათ შეიშრობს შენი ალისარი-ნავის წამწვანო თვალები, რომლებიც ჰაერში შედებიან, ერთი შეხედვით მატყევებენ საკარისია თვალი მოვკრა შენს ლიმილს, დავინახო № 4 ქალალდისავით თეთრი ქბილები, რომ შენმა ღიმილმა თავგრუ დამახვილს და ოცნების სამყაროში მაგრძნობინოს თავი.

ოჲ ჩემ სულის ჯვრიანო „პიატო“ რომელ ცირკულით დახაზულ გეგმაზე ხარ შექმნილი, ესეთი კარგი? სად იშოვნეს ის კუმეტი მელანი, რომ ლითაც შენი წარბები შეუდებიათ? სად აარჩიეს ის მარჯვნის ფერი სიწითლე, რომლითაც შენი ტუჩები დაუფერიათ? ოჲ ჩემ სიცოცხლის ნაბლუიდატელობა და გულის ფუნკციას პაპერიულო! მითხარი, დამავალე ან მიბანე რაც გსურს, რომ შეგისრულობ მითხარი რით გასიამოვნო. შენს მერე, ვფიცავ ფორტუნას, ჩემმა სატრაფომ და დოვ და ლამა საგონებელმა თვის 20 წნიუნელობა დაჰკარგა მისმაგირ ეხლა შენ მყევხარ ხატათ და ჯვარათ, ყოველ წუთს შენ გაღმერთოდ. თუ შენ მიბანებ შეუძლებელს შევძლებ სასწაულს მოვახდენ. საში და ოთხ განკოფილებას გაუძლვები მარტო მე. ასს შეგირდს ვიყოლიებ, რომ გმირათ გეჩვენო. შენი გულისთვის თუნდა იმ წყველს უდარენიესაცი შეყვივარებ, რომელიც სიკლეების ბაცილებს ამრავლებს ჩემს ორგანიზმში. ოთხი „ი“ და სამი „ე“ რა სათქმელია, ათი „ი“ და „ე“ თი ვალაპარაკებ და ვასწავლი ჩემს ტანჯულს შეგირდებს ოლონდ შენი ბბანება გავიგონო. შენი აჩრდილი გადაეფარა იმ ჩემს მწამებელს მაგარს და რბილს ნიშნებს და მათ მაგირ შენს სახეს ვუჭვრეტ. აბა როგორ არ შეგიყვარო ეგოდე სიკეთის მქნელი. ერთი შენი შორიდგან დანახვა იმოდენა სიმოვნებას მგვრის, რომ თითქოს ერთი ასი რეელი გამისწორება აა გრამატიკული შეცდომებით სავსე, იმ დღეს, როცა შენ ვერაგედავ, მირჩევნა ბავშებს „ხორომ“ ვაკითხო და ვინერთქო თავი. განა რა ჩემი ბრალია ქალო-რომ პაგონებიანი აფიცერი ან პოლიციელი არ გამოველი? რატომ არ გებრალები? რამდენჯერ შენი გზისკენ უურებაში ბეზებედათ დავრჩიმილებარ. რამდენჯერ შენს ფიქრებში მთელი გაკეთილი სტოლთან ვმჯდარებარ გარინდებული და მომიცდენია კლასი. რამდენი „პერემენია“ ათი წუთის მაგივრათ საათნა: ხევარი გაგელებულა და შენ კი ვინ იცის გებრალები თუ არა. ვინ იცის ჩემ სიცოცხლევ, იქნებ ეხლა მაინც ჩემკენ გაძმოხარო სასწორი-მაშინ ავას ჩემ სულო, სლაუენი მაჰვევება. ამ მამრობით სიძირიებში ეს სლაუენი-უმნოფენიენის გამოიწვევს - ეს კი გაგვახარებს ისე, როგორც ვითომებით ვარებულებით პასობიყ მიმიკა.

პასუხს. შენგნით შეცდომებით სავსე სმატრიტელ-  
უჩიტელი ნაბლიუდატელ ზაველივაიუჩი კალამია  
წევნაძე.

### „ଲୋକର ପ୍ରକାଶ“



303630


გურიის სოფლის მასწავლებლებს ძევლათ ერთი  
ახირებული ჩეცულება ჰქონდათ. ერთი უბნის მე-  
ზობლები ხან ერთ ამხანაგთან, ხან მეორესთან იკ-  
რიბებოდენ და ერთმანეთს თავის შთაბეჭდილებებს  
უზიარებდნენ.

ერთ ასეთ კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა „დედა-ენაში“ ნახმარ გაუგებარ სიტყვების შესახებ და სხვათა შორის მოყვანილ იქნა მაგალითები „კი ჭავის“ შესახებ.

— ერთი ახალგვაზდა მასწავლებელი, — სთჭეა ჭა-  
ლარა პედაგოგმა, გატაცებით უქსნიდა თავის მოწა-  
ფერს „მეცნარა ქოთნის“ ამბავს და როცა საქმე  
ციცქაზე მიღდა სთჭეა: — ციცხვი, ბავშვებმ, ცაცხეს  
ნიშნავს. თქვენ აღმართ გინახავთ ლანჩხუთში სპარა-  
სკეოზე დიდი ცაცხვი დგას და როცა ქოთნებით  
მოვაჭრო იქ აფენს საქონელს, ცაცხვს აღვილათ  
შოთძლია წახილოს ქოთნის ძირს.


ମୋହୁପ୍ରି ଶେଳାଘ୍ରଗ୍ରହଣ ନାମଭବତ୍ତମା ଦ୍ୱାରା ସିପିଲ୍-  
ବ୍ୟକ୍ତିଗତ ପାଠ୍ୟକାରୀ ମୂଲ୍ୟରେ ଉଚ୍ଚତା ପାଇଲାମା ଏବଂ ଯତନା  
ଅବସାନିକାରୀ ମାତ୍ରାରେ ଉଚ୍ଚତା ପାଇଲାମା; ଆମେ କିମ୍ବା  
କିମ୍ବା ଏହାରେ ଉଚ୍ଚତା ପାଇଲାମା;

— ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ იმ ოხერბა  
როგორ არ იკვდა, რომ უჩვეული მქონეობის ერქვა.



კვლი შენი ბროლის თითებით დაწე ლს

## ფიზიკური ვარჯიშობა.




საღი პედაგოგიური პრინციპი აღზრდის საქმეში უპირველეს აღ-  
გილს უთმობს „ფიზიკურ ვარჯიშობას“. ინგლისელებს ამ საგნის შესა-  
ხებ განსაკუთრებული ანდაზაც აქვთ: „საღ თრგანიზმში საღი სული  
ბუდობს“. ფიზიკური ვარჯიშობა ახალთაობას უმტკიცებს ძალო-  
ნეს და უმაგრებს მუსკულებს, (უმთაგრესად ყურებისას). რა თქმა უნ-  
და, „ფიზიკური ვარჯიშობის“ წესი ყველა მასწავლებელს თავისებურათ  
ესმის.

# გრატიტულება.

პირველი გაკვეთილი.

ყოველ კეთილგანწყობილ სკოლაში პირველი გაკვეთილი საღმრთო სჯულს ეთმობა. ეს სუც უნდა იყოს, ვინაიდან. ქვეყნისა და თვით ძლიმიანის შექმნის ისტორიას, (რომლის შესახებ ამ ნომრისათვის ნესტორ ცერცვაძეს წერილი უნდა დაწერა) საღმრთო წერილი ასწავლის, ჩვენ ამ საგნის შესახებ დღეს არაფერს ვამბობთ არა მარტო იმიტომ, რომ ნესტორ ცერცვაძემ თავისი დაპირება არ შეასრულა, არამედ იმიტომაც, რომ ქართველმა სამაცლელოებამ უკვე მოიპოვა თავისუფლება.


საღმრთო სჯულის შემდეგ უპირატესობით აღკურებილია რუსული ენა. ქართველი ზაფშესათვის ეს საგნი ძლიერ მიმზიდველია, მეტადრე პირველ სამ წელიწადის, აუცილებელი იყო სამაცლელოს ცხოვრებაში უსაპიროეს სიტყვებს,



რუსული ენა.

უმთავრესად კი რუსულ გინებას. ამ მხრივ მასწავლებელთა უმრავლესობა პედაგოგიკის უმაღლეს საფეხურზე სდგას და მიზანს აღვილათ აღწევს...

გაკვეთილი შეატყ. ვიდრე მოსწავლის ნორჩი გონება სალია, აუცილებლათ საჭიროა მას უფრო ძნელი საგანი შევაძლებინოთ და ი, სწორეთ იმ მიზნით



მათემათიკა.

ეთმობა: ხოლმე მათემათიკას მეორე გაკვეთილი. უნდა ითქვას, რომ მოსწავლე ახალგაზღობა მას ხალისით ეკიდება და ხშირათ ფარულ დღილოსაც, მასწავლებელთაგან საიდუმლოთ შეცადინებენ და სწავლობენ მას. აღმართ ამისთვის აძლევს სკოლებს. ჩვენს საზოგადოებას ამდენ ტუზებს.

შესამე გაკვეთილი.


მათემათიკის მძიმე და მომქანცველ გაკვეთილს, რასაკვირველია, პედაგოგის მოსაზრებითვე ყოველთვის მოსდევს რამდენმეტ გამრთობი და დამასვენებელი გაკვეთილი „ისტორიისა“. აღმზღდელებს მოსწავლეები ხშირათ დაპყავთ საექსკურსიოთ სხვა და სხვა „უბნებში“,



გაკვეთილი. მესამე „ისტორია“.

საღაც აცნობენ მათ არსებულ \* ) სახელმწიფო ეპოქის  
წესტყობილების ამა თუ იმ მხარეებს.

გაკვეთილი მეოთხე. ქიმია და ფიზიკა, ეს ქვეყუთ-  
ხელი ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწისათვის  
მეტადრე ქიმია ქართველი კაცისათვის იმზომ აუ-  
ცლებელი საგანია, როგორც წყალი თევზისათვის.



გაკვეთილი მეოთხე — ქიმია.

ჩენდა სასიმოვნოთ უნდა აღვნიშნო, რომ  
ეს დარგი მეცნიერებისა განსაკურთხებულის ძლიე-  
რებით იპყრობს ქართველი ახალგაზლობის გულის  
ყურას. განსაკურთხებით მიღრეკილებას მისდამი  
ქართველი სტუდენტები იჩენენ, რომელთაც ამ  
მხრივ განციფრებაში მოჰყავთ მთელი რუსეთი და  
ხშირათ ევროპიაც. ქართველ ქველმოქმედთ შეუ-  
ძლიათ თავმოწონებით თქმა. რომ მათი ფული  
უშიშნოთ არ იყარება. ვინაიდან „ქიმიკოს“ სტუ-  
დენტთა შორის პირველობას სტუდენტინ ტები  
იჩენენ ხოლმე.

## გაკვეთილი მეხუთე

ბუნების მეტყველებას უპირვესი ადგილი უჭირავს  
ადამიანის და მაშასადამე სკოლის ცხოვრებაშიაც.



გაკვეთილი მეხუთე — ბუნების მეტყველება.

ცნება სილამაზისა და ბუნების მრავალფერო-  
ბისა თავისთავად გულისხმობს იმ გატაცებას, რო-  
მელსაც იგი უნდა იწვევდეს კიდევაც მოსწავლე  
ახალგაზლათა შორის. სიყვარული ბუნებისადმი თან-  
დაყოლილი თვისებაა ყოველი ადამიანისა და ამ  
გრძნობის განვითარებას ხელს უწყობს რასაკვირვე-  
ლია საღის სასკოლო აღრჩდის პრინციპებიც.

\* ) რთგორც „განმარტებაში“ მოგანენერ ქწნომერი  
დაწერილია იმ დროს, როცა რესეტში მონარქიული მარ-  
თა კაშტებია იქთ.

## გაკვეთილი ზექვსე.

ჩვენს სკოლებში არც თუ სამშობლო ენა არის უარყოფილი. მას დათმობილი აქვს ზექვსე გაკვეთილი




ზექვსე გაკვეთილი—სამშობლო ენა.

და მოსწავლე ახალგაზღობაც ყოველის საშუალებით სცდილობს საფუძვლიანათ შეისწავლოს თავისი დედა—ენა.

## დასვენება და ოცნება

ექვსი საათის მძმე შრომითა და მეტადინეობით დაქან-  
ცული ახალგაზღობა საღამო ხანს ოჯახს უბრუნ-  
დება და საღილს შემდეგ ისვენებს მცირე



ხნით, რათა დაიმშვიდოს ნერვები და კუნთები. ამ  
მოკლე დასვენების დროსვე ლცნებობს იგი ცხოვ-  
რების სხვა და სხვა საპირბოროტო საკითხებზე. თუ  
ახალგაზღდა უკვე გიმნაზიის მეოთხე კლასშია გა-  
დასული, მას უნებლივით ებადება კითხება:

— განა ლირს ამდენი წვალება, უმჯობესი

არ არის სკოლის თავი დავანებო და ჩემი კატია შევირთო, სოფელში ჩავსახლდე და მშვიდობიანათ ვიცხოვრო.

ასეთი ტკბილი ოცნება ზოგჯერ სიზმარშიაც გაღადის.

ეჭმაკი.

## უარადა.

ვინაც კი დასწერს შარადას,  
ჯერ კოლოს უნდა უქბინოს,  
ზოგი „ბზუილის“ უძახის,  
ზოგიც „სულელს“ და „უტეინოს“.

რა დააშავა ამგვრი  
კოლომ არ იცის ახლაცა.  
შარადას კარგს წერს (მოწამეთ  
ძირს მიწა მოჰყავს, მაღლა ცა).  
და კვლავ შეუდგა ამ საქმის  
აწყობას ძველებურად...  
(დე სხვანი მოშარადენი  
აწ გარდაიქცენ შურადა!)

ლითონი გახლავთ ერთგარი,  
ვერცხლისა მისამსგავსები  
(თუმც მისი მაჩანჩალაა  
ქვემორე უზის ფასები).  
ბებია თქვენმა იცოდა  
უმარულისთვის ხმარება...  
(ლეკებსაც უიმლითონოთ  
ერთდღეს არ გაეხარება).  
სპილენძის ჭურჭელს თუ იგი  
მალმოთ არ აფენია,  
სიკედილს გვიქადის იმაში  
მონახარშავი წვენია.

ვფიქრობ, იპოვეთ ლითონი,  
რომლის გვმართებდა ძიება...  
არც ერთსა ნიშანს იმისას  
არ უნდა გამოტიქება.

აწ ვნახოთ ცრემლი ყვავილთა,  
თვალს მარგალიტნი, ჰქიდია,  
როცა სხიეს მზისას გულთ იქრავს,  
მშეენება მისი დიდია.

კამპამებს ვითა ვარსკვლავი  
ცად მოელვარე ობლათა...  
(ქალაქში იშვიათია,  
ხშირი მინდორ-ველ სოფლათ).  
გასქერით იგი სახელი  
ორ ნაკვთად, თანაწორეთა  
და ნოტს არ ნიშნავს, რომელიც  
თავიდან მოიშორეთა.

მზადა გვაქვს მთელი მასალა,  
მხოლოდ გვჭირია შენგბა:  
ლითონი რომ ჯობს საძირკვლათ  
თქვენ თითონ მოგეხსენება.  
ნაკვი მეორე დავადგათ  
იმა საძირკველს თავადა  
და ნივთს მიღიღებთ პატარას,  
საამოს სანახვადა.  
იარაღია უქბრო,  
სკრის ხმალზე უფრო მკვეთრადა,  
იცის ნაგარდი თუ ჰპოვა  
მინდორი გულ-მერჩ თეთრადა.  
ძალა აქს სტიქიონისა,  
თუ ხელი მართავს რჩეული  
(თვით ზარბაზანი, მქუხარე,  
ნახულა მისგან ძლევული).  
მაგრამ, თუ ბრიუვმა იუფლა,  
რეგვენმა აამუშავა,  
თუნდ ააქრელოს მთა ველი,  
თუნდ ამოაშროს ზღუ შავა,  
მისგან არარა გამოვა  
თვინიერ წყალთა ნაყვისა,  
ლირებულების სანაცვლოდ  
ქვეყნად მოუენა ნაფისა.

აწ გავათავოთ. ვინც უკვე  
აღმართა ძლევის აღამი,  
მას ეშმაკისა კურთხევა  
და ჩემი ძმური საღამი.

კოლო.

## სიქაჩლეჯი აფიციროვა

არა, ქვეყანა რომ ტრიალებს, ამაში ახლა ეჭის  
ველარავინ შეიტანს! ნახულა ამისთანა ამბავი? ე-  
ნინოშვილის ტარიელ მკვლავაძე სპ. მცირაშვილს  
სოფლის მასწავლებელს, ასე ახსიათებს::

— კოლო, ბაღლინჯო, მათხოვიდესა! ცალი  
ფეხის მეტს, არც ხელს ვიხმარ და არც იარაღს, ისე  
გავლახავ, ეს უფრო სასაცილო იქნება და უფრო  
მოეწონება მის ლამაზ კოლს“!

ეს იმერეთში.

ახლა ქართლ კახეთის ზრწყინვალებას როგორ  
აღაპარავებს ვაჟაფშაველა თავადი ფშატაძის პირით:

— „შრო ტაკო ფშატაზე, კრიაზ ფშატაძე?  
ნასტაიაში ქუჩუკ ყარაბან! შტოტაკო უჩიტელ?  
ნულ! შტოტაკო უქოლა! ედინიცა! კამპანიაში  
კიდევ „უჩიტელო ღმერთმა გადღეგრძელოსო“ მა-  
მასახლისის და მწერლის შემდეგ მიმართავნ ხოლმე  
სოფლის მასწავლებელს. ეს შეზარხო შებული საქარ-  
თველო უპყრობა ასე მასწავლებელს. ოხუნჯი სა-  
ქართველო კიდევ სიტყვა „პედაგოგს“ სოფლის  
მასწავლებელს აწერს და ასე განმარტავს — „ვე —  
თხას ქვიან ე. ი. სიტყვის ეს ნაწილი ბავშვებს ნი-  
შნავს. „გოგი“ კიდევ იმის მწყმესი ე. ი. ვე და  
გოგი უჩიტელი თხის მწყმესია!

აბა ახლა გაბედოს ვინმებ მსგავსი ააში გუშინ  
დაბრუნდა ჩვენი უჩიტელი მაქსიმე მანონიშვილი,  
ავათ ვარო უთქვამს და ექვსი თვით გაუვთავისუფ-  
ლებიათ. ცოტა გულნატკენიკა! „თურმე რომ არ  
დავებრავე, პრაპორჩიკის სკოლაში გამიშობდენ და  
სამ თვეში აფიცრათ გამოვიჯგიმებოდით! თურმე  
ყველა ჯანსალი, ოცდათ წლამდინ აი სამ თვეში  
აფიცრი იქნება; ოცდათზე მეტს უთხრეს: თუ  
ინგებით, თქვენც შევიძლიათ. მხოლოდ ძალას ვერ  
დაგრანთო. მერე კიდევ იცით რა უთქვამთ ჩვენი  
მაქსიმესთვის! არა, სიძრთლე რომ არ დაიფარება!  
უთქვამთ: „სედანთან ნებეცის მასწავლებელმა გაი-  
მარჯვაო“ რო ამბობდენ, თურმე გაშინდელმა მოლ-  
ტკემ უკანასკნელი იერიშის ღროს ახლათ გააფი-  
ცრებული სოფლის მასწავლებლები მიუსია ფრან-  
ცუხებს და დაშარცხაო. ამდენ ხანს კი ამას რაღაც  
განათლებით ხსნიდენ. აა ყველა ეს ამბავი მოიტანა

ჩვენმა მაქსიმებ და მე ოცდა ათს კი არა ორმოცდა ათსაც გადავაცილე და პირადათ ვერც აფაცრობას ველიტები და ვერც უბრალო ჯარის კაცობას, მარა მაინც შიხარია: ჩემი ახალგაზდა კოლეგები ქე მაინც ელიტებიან ცოტაოდენ პატიისცემას. მაშინ ველარ დაჩაგრავს მკლავაძე, ფშატაძე და ვერც ბოქაული გაკრეპეს თმას\*).

სიცერეზი სიქაჩლეს მოელოდეთ ნათქვამია და ახლა შეგვიძლია ასე შევატრიალოთ—სიქაჩლეში აფიცრობას მოელოდე.

ეშმაკეული მაქრტოი.

## პირდაპირი თარგმანი:

ერთი მეტის მეტად „მუვე პატრიოტი“ მასწავლებელი დაუინგბით ამტკიცებდა:

— სწავლა-აღზრდის საქმე წმინდა, ეროვნულ ნიადაგზე უნდა იდგეს და ვეცადოთ არც ერთი უცხო სიტყვა ჩვენს ენას არ შეეჩინოს, ხოლო თუ შესხიზენია უნდა მოიცხოთო. ჩემის აზრით საკ. თარი სახლებიც ქართულად უნდა ვთარგმნოთ.

— მეც სწორეთ მიგის მომხრე ვარო, მიუგო შემთხვევით იქ მყოფა ეშმაკმა თქვენი სალი მსჯელობით პირდაპირ მაგონებთ რუსეთის პედაგოგს დიდ უურაძესო.

გაცხარებული პედაგოგი მხოლოდ მაშინ და აწყარეს, როცა აუხსეს: „დიდ უურაძე“ პირდაპირი თარგმანია „Великий Ушинский“-სათ.



\*) ამ ხეთა წილის წინეთ ბოჭაულმა ევარიუმა გაასტურებია შასწავლებით — არ მაშტამის შენი გრძელი თმა.

## სსმებმარი ილო ქართველი

გოლოცერიდან.

პირეველით მოიწვიეს მშობლებმა ახალგაზდა მარკიზისთვის ღლმზრდელი. მან, რომელიც ჩატურულობით კოპტია და ნამდვილათ-კი დიდი რეგვენი იყო, თავის მოწავეებს ვერაფერი შეასწავლა. მამას სურდა, მის შეიღს ლათინური ესწავლა,—დედას-კი ეს არ უნდოდა. გადასწყვიტეს ავტორიტეტიულ მწერლისთვის მიემართათ, რომელიც თავისი მოთხოვნებით განთქმული იყო. მწერალი ნადიმზე მოწვიეს. ოჯახის უფროსმა სტუმარს მიმართა:

— „ბატონო, ვინაიდან თქვენ ლათინური იცით და ვინაიდან თქვენ სასახლის კაცი“...

— მე ლათინური! ლათინური მე არც ერთი სიტყვა არ ვიცი, — უბასუხებს ღიღებული კაცი, — მაღლობა ღმერთსა, ეს ხომ აშკარაა, რომ საკუთარ ენაზე თავისუფლათ ლაპარაკობს ის, ვინც თავის გონიერია ასა ჰკოფს თავისს და სხვის ენათა შორის, აბა გადახედეთ ჩვენს ქალებს, მათი ვონება უფრო შშვენიერია, ვინემ მამა-კაცის; ისინი ასჯერ მეტი სინარჩარით სწერენ მოკითხეს წერილებს და ეს უბირატესობა იმიტომა აქვთ რომ ლათინური არ იციან.

— „აა, ხომ მართალი ვიყავი მე, სთქეა დედამ, მე მინდა ჩემი შვილი შეკვირი კაცი გამოვიდეს და სახოგაღოებაში წარმატება მოიპოვოს. და თურმე მას ლათინური რომ ესწავლა სულ დაიღუპებოდა. განა ლათინურათ თამაშობენ კომედიას ან ოპერას? განა სასამართლოში დაზუველები ლათინურათ აღმოჩენ სიტყვებს? მამამ ბოდიშიც მოიხადა. გადასწყდა, პატარი მარკიზს უბრალოთ დრო არ დაეკარგა ციცერონის, გორაციოს და ვირგილის შესწავლაზე. „მაგრავ რამე ხომ მაინც უნდა ისწავლოს? იქნება ცოტა ოდენი გეოგრაფია შევასწავლით“?

— „რათ უნდა მას გეოგრაფია, განაცხადა ღლმზრდელმა; როცა ბატონი მარკიზი თავის მაშტამის შემთხვევაში წაბრძანდება, ნუ თუ მეეტლეს გზა და კალი იყნენ უკავე? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ

ისინი 1 გზას არ გადაუხვევენ. მოგზაურობისთვის სრულებითაც არ არის მერიტინგებისა და ტროპიკების ცოდნა,

— „თქვენ მართალი ხართ, — სთქვა მამამ, — მაგრამ მე ერთი ჟარი მეცნიერება გამოიგა, რო მელსაც თუ არა უცდები ასტრონომია, ჰქეინან“.

— „არაურია, უპასუხა აღმზრდელმა, განა ამ ქვეყნათ ვახასკვლავებით ხელმძღვანელობს ვინ- შე? განა ღირს ბატონშა მარკიზშა მზის დაბნელების წუთების გამოანგარიშებაზე იწყილოს? რადე საც მას შეუძლიან სისწორით ამოიკითხოს ყოვე- ლივე ეს აღმანაბაზი.“

დღდა საესკებით ეთანხმებოდა იღმზრდელს, პა- ტარა მარკიზი სიხარულით ცას ეშვოდა, მამა კიდე ყოფილი არის ის, რომ იყოს ყველასთ- ვის მთხაწონი. — უპასუხა ერთმა შეგობარშა რომელსაც რჩება სთხოვეს, — და თუ მან შეისწავლა მოწინების საშვალებანი ამით მას ყველაფერი ეცოლინება: ამ ხელოვნებას ივი თავის დედისგან შეითვისება ნა- მდვილიათ, რომ არც ერთ მათგანს ამისმთვის, არა- ვითარი შრომა არ დასჭირდება.

— ამ სიტყვებისთვის დღდამ ხელები მოხვია მშვინეულ რეგვენს და უთხრა: — ახლა უკვე ცნობი ლია, რომ თქვენ კარგი გომოცდილი კაცი ბძანდე- ბით; მთელ თავის აღზრდაში ჩემი შვილი თქვენი მოვალე იქნება, მაგრამ, მე შეონი შეტერი არ იქნება, თუ ცოტაოდენი ისტორია ეცოლინება ჩემ შვილს.

— „აბა რათ უნდა ქალბატონო მას ისტო- რია? უპასუხა მან, — სისიამოვნო და სასარგებლო მხოლოდ და მარტო დღევანდელი ისტორია იქნება, ყველა ძველი ისტორიები, როგორც ერთი ჩემი დიდებული გვამი ამბობდა, — მხოლოდ ნიშნობლივი ზღაპარია, ჩემი დროის ხალხისთვინ კი — ხათსია, რომელშიაც შეუძლებელი გარკვევა. აბა რა თქვენი შვილის საქმე, რომ კარლოს დიდმა საფრანგეთში თორმეტი პერიოდაწეს და მისი მო- ადგილები ენა ჩლუნგი იყო“. მშვენივრათ არის ნათქვამი, წამოიძახა აღმზდელმა: ბავშვის გონებას აჩლუნგებენ აუარებელი სხვა და სხვა უსარგებლო ცნობებით, მაგრამ ყველაზედ მეტი სიბერე ჩემის აზრით ის არის, რომელიც სხვებზედ ძლიერათ ახ- მობს აღმანის გენიოსობას, — გეომეტრია. ამ სასა-

ცილო მეცნიერების საგანს შევადგენს სინამდვილეში არ არებული ზედაპირები, ხაზები და წერტილები. იგი ასწავლის რევალ და შეხებითი ხაზების, გონე- ბით წარმოდგენილ, ასას უსწორო ხაზების გაყვა- ნის, თუმცა ნამდვილით შიგ ერთი პატარა ნამც- ციც არ ხავტევა. სინამდვილეში გეომეტრია ვიღა- ცის მოგონილი საძაგელი ხუმრობაა“.

მშობლებს არც — კი ესმოდათ, რისი თქმა სურდა ალზრდელს, მაგრამ მაინც ყველაფერში ეთან- ხმილობნები, — ისეთმა ცნობილმა პირმა, როგორიც ბატონი მარკ. ზია, განვარდნობდა იღმზდელი, სრუ- ლიადაც არ უნდა გამოიფიტოს გონება ამგვარი უფრუნური მეცნიერებით. თუ ვინც კაბაა როდის- შე დასტირდება მცოდნე გეომეტრი რომ მისი მამუ- ლებიდან გეგმა გადაიღოს, იგი შესძლებს ფულით დაიქირაოს. თუ იგი მოისურვებს თავის წინაპართა სიძველის გაგებას, რომელიც უსსოვარ ღრმმდე აღწევს, ის დაიბარებს ბენედიქტელ ბერს. ასევე სხვა — დანარჩენი ხელოვნების შესახებაც. ბედნიერ შემთხვევაზედ დაბადებული ახალგაზდა არც მხატ- ვარია, არ მემსუსევა, არც ხუროთ მოძღვრია და არც მექანდავეა; მაგრამ იგი ხელს უწყობს ყველა ამ ხელოვნების აყვავებას, თავისი გულ-კეთილი მფარველობით წაქეზებით. ეჭეს გარეშეა, მათთვის მფარველობა უფრო სასარგებლოა, ვინები ის, რომ თითონაც მათსავით შრომაში ჩაებას; საქმარისია ბატონ მარკიზს საუკუნეს გეომეტრება ჰქონდეს, მტშაობა-კი — მხატვრების საქმეა. ამიტომ სრულიად მართლია ვინც ამბობს: პატიოსანმა ხალხმა (მე- ვეულისხმობ მხოლოთ მდიდრებს) ყველაფერი იცი- ან, თუმცა არაფერი უსწავლიათ, რადგან დაბოლოს მაინც სწავლობენ ყველაფერის დაფასებას რასაც უკვეთავენ და რაშიაც ფულს იხდიან“.

მაშინ მშვენიერმა რეგვენმა სთქვა: „ეპლბატო- ნი თქვენ ძლიერ მარჯვეთ შენიშვნეთ, რომ კაცის მთავარი მიზანია, — საზოგადოებაში წარმატება, მაგ- რამ დალაგებით რომ განვსაჯოთ, განა ამ წარმა- ტებას სხვა და სხვა მეცნიერების შესწავლით იძენენ? განა ვისმე თავში მოსელია. რომ კეთილშობილთა საზოგადოებაში გეომეტრიაზე განასხა? განა პატიოსან კაცსა კოთხვენ ხოლმე, რომელი მნათობა ამოვიდა დღეს მხესთან ერ- თათაო? — რასაკვირულია, არა, დაძახა მარ- კიზა დე ენნოტერმა, რომლის სიკეკლუცე

ხშირათ ძლიერდა საშუალების მაღალ საზოგადოებაში ყოფნისას: და ჩემა შეიღმაც არ უნდა დაიხშოს გონიერი ყველა ამ ფუქსავატობის შესწავლით; მაგრამ, ყოველ შემთხვევაში ახალგაზრდა ბატონის, უნდა იცოდეს რამე, რომ ინინოს თავი, როგორც ჩემი ქმარი იძახის ხოლმე. მე მაგონებება, რომ ერთი მღვდელი ამბობდა, ყველაზედ სასარგებლო მეცნიერება არის... დამავიწყდა რა ჰქვიან, მაგრამ ასო გ-ზე იწყობა“.— გ-ზე ქალბატონი? შეიძლება გეოლოგია იყო— არა, არა, მას გეოლოგიაზედ არა უთქვამს რა; ხო, ხო, იწყება ასო გ-ზედ და თავდება კაზ. ხო-ო, ვიცი: ეგაა გერალდიკა; დიახ ეგ მართლა ღრმა მეცნიერებაა, მაგრამ იხლა ეგ მოდაში აღარ არის

მას შემდეგ, რაც დახურულ ეტლების, კარებების, გერბებით მოვარაყების ჩვეულება გადააგდეს; ეს ყველაზე სასარგებლო საქმე იყო გონივრულათ მოწყობილ სახელმწიფო ში. მაგრამ დღეს ეგ მეცნიერება დაუსრულებელი რამე იქნებოდა; რაღან ეხლა არც ერთი დალაპი არ არის რომ საკუთარი გერბი არა ქმნდეს, და ხომ მოგეხსენებათ რომ რაც საერთოთ ყველასგან მიღებული ხდებ იგი მაშინვე პატივისცემის ელფერსა ჰქარგავს.

და ბოლოს როცა კარგათ გაქექეს ყველა მეცნიერების ლიტერატურა — ნაკლულებანება, გადასწყვიტეს რომ პატარა მარკიზი ისწავლის მხოლოთ ცეკვას.

ან. ხიზანაშვილი.

## 1917 წლის 10 მკათათვიდან

ქ. ოფიციალისში გამოდის ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი.

## სოციალის მუშა

ამხანაგებს ვთხოვთ პარტიულ არგანიზაციებისაგან, გლეხთა საბჭოებისაგან, და აღმასრულებელ კომიტეტებისაგან შემოწმებული ცნობები და საჭირო მასალა მოგეაწოდონ.

უურნმლი ღირს წლიურათ — 10 ბან., ნახევარი წლით — 5 ბან., 3 ოცით — 2 ბ. და 50 ქ., თვით — 80 ქ. საზღვარ-გარეთ ორჯელ მეტი.

ფული და მასალა გმაოიგზავნება შემდეგ ადრესზე: Тифлисъ, дворецъ, Въ ред. журнала „Соплисъ муша“ Иосифу Георгіевичу Иремашвили.

# „ ე რ თ მ გ პ “

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

ჩაზოთი ლის როგორც თფილისში, ისე პროცენტიაში გთხოთ 15 განეთი, ნახევარი უდიდეს 8 გ.  
სავი თვით 4 გან 20 კაპ., ერთი თვით 1 გან 40 კაპ.

გაზეთის ფასი ხელის მომწერლებმა წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნებ  
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი აღრესით უნდა გამოგზავნონ: თიფლის, პორტვე  
ჯაჭვი № 199, ვლასი მალაკიევიჩ ბოხოდაზე.

თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლებაში“ ოლდას ქუჩა № 6.

უოველ-კვირეული იუაორისტიული გამოცემა



— მიიღება ხელისმოწერა 1917 წლისათვის —

კურნალის ფასი: 12 თვით 9 გ. —

6 თვით 5 გ. — ქ.

3 თვით 2 გ. 50 კ.

1 თვით — 90 კ.

ეშმაკის მათრახში დაიბეჭდება მხოლოდ იუმორის.

ტული შინაარსის შერილები, ლექსები, მოთხოვნები,

ზღაპრები, არაკები, შარადები, გამოცანები,


ნაკვესებიდა სხვა.

ეურეკის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაგება ე ჟ გ პ ი ,

სოლო გამოცემის სამშენებლო „გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა“ .

რედაქციის სოხუმის როგორც თანამშრომლებს, ისე ხელის მომწერლებს რომ მასილები და  
ფული ამ ადრესზე: გამოგზავნონ თიფლის, С. Р. Тавартиклиадзе, Ольгинская, 6  
პი. ჯაჭვ. № 96.

„ქ ე გ ა რ დ ნ ე ბ ი“ და ქ ე გ ა გ ი



ქუთაისის „შეცარდნები“. თუ თავი არ დაგვიყრას მოღი ერთი ლაშათიანაზ  
ავადით ამ ყვანჩალას.  
(მოკრძალებით დაუკრა, მაგრამ მაინც ააღვეს).